

ნინელი ჭოხონელიძე

რ. ინანიშვილის პროზაში დადასტურებული ლექსიკოგრაფიული განმარტებები

რ. ინანიშვილის მხატვრული ენა, მისი ლექსიკა უახლესი სალიტერატურო ქართულის ერთ-ერთ ძლიერ შენაკადს ქმნის. მან სამწერლო ენისათვის მრავალ უცნობ (იქნება ეს ძველი ქართულიდან მომდინარე, ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ნეოლოგიზმები თუ კახური დიალექტიზმები) სიტყვასა თუ მყარ გამოთქმას ახალი სული შთაბერა და თავისი ადგილი მიუჩინა ენაში.

რ. ინანიშვილის ლექსიკის სიმდიდრე უმეტესად ისეთი მასალის გამოყენების შედეგია, რომელიც ლიტერატურულია, მაგრამ მწერლობაში იშვიათად იხმარება. თანამედროვე სხვა პროზაიკოსებთან ვერ შევხვდებით ამდენი ცხოველის, ფრინველის, განსაკუთრებით - ამდენი მცენარის სახელს [ჭუმბურიძე 1982: 240].

საგულისხმოა, რომ მის მიერ ნახმარი ბევრი სიტყვა არც დასტურდება ლექსიკონებში. მწერალი ამგვარ სიტყვებს ხშირად ახასიათებს, განმარტავს, – აღნიშნავს ელ. კოშორიძე და მიუთითებს მწერლის მიერ განმარტებულ ასეთ სიტყვებზე: **ილღუნები, ჯოჯოხეთა ბალახი, ბატიკბილა** [კოშორიძე 1981: 22].

ზემოდასახელებულის გარდა რ. ინანიშვილს თავის შესანიშნავ ლირიკულ პროზაში განმარტებული აქვს ასევე შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **ბოა, ბოიდადი, ბულბულა, გვარი, გაჩეკვა, კაპიჭი, საყელავი, ცივი საცივი, წყლის შიში, წყლის ადლაბიჯა, მზომელა, წიმფეფე, კიდობანა, ტროსი, სოლიტერი, ბერკუტი, მჩეკავი, დამხასიათებელი, ნახუნავი, დიჭი, ეკალდიჭა, კეტაობა...** ფრაზეოლოგიზმები: **ქალაქური სეირი, თონეზე სხდომა, ყელის ამოწევა, ცხვირს იტებდნენ...**

ჩვენ ამჟამად შევხვებით იმ გრამატიკულ ხერხებს, რომლებსაც მწერალი იყენებს სალიტერატურო ქართულისათვის უცნობი სიტყვების თუ მათი ახალი მნიშვნელობებისა და მყარი გამოთქმების განმარტებისათვის.

სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად მწერალი მიმართავს მხატვრულად გადმოცემულ გაშლილ განმარტებას. ამისთვის მას გამოყე-

ნებული აქვს როგორც გავრცობილი, ისე დამოკიდებული წინადადება ჩართული სიტყვებით, ამასთან განსამარტავი სიტყვის ადგილი წინადადებაში განსაზღვრული არ არის.

კაპიტი: **კაპიტი** მსხვილი საყელავია ბოლოკისა და ამგვარი ბოსტნეულის შესაკონავად (ალერს. 107, 3).

ფმა: **ფმა** მდინარის ნაწურია, წმინდა, ციმციმა წყალი, რომელიც თანდათან იზრდება, ქმნის სიღრმეებში ჩალურჯებულ მდორეებს (შველ. 50, 4).

ზაია: ის ყვავილი, **ზაია**, ყვითელია, მკვრივფურცლებიანი (ასულ. 30, ქვ. 10).

მიჯნა: თუ სადმე **მიჯნა** იყო, – მიწიდან ოდნავ ამოჩენილი თავწოწოლა ქვა, – იმასაც მხოლოდ რაღაცით დაბოლმილი ხნიერი ხალხისთვის ჰქონდა მნიშვნელობა (შორ. 281, 5).

ოჩხი: ერთმანეთში გამავალი ოთახებივით გადაახურავენ ზემოდან ბრტყელ ქვებს. იმ ბრტყელ ქვებს წააყრიან ხრემს, გაასწორებენ რიყსთან, ადვილი შესამჩნევი რომ არ იყოს, დაუტოვებენ მდინარის მხრიდან პატარა შესასვლელს, და სულ ერთია, **ოჩხი** მზად არის (ასულ. 132, 17).

წენგო: ახალ გამოკვანძულ კაკლებსაც **წენგოები** ჰქვია (შორ. 146, ქვ. 8).

მაჟარი: უშიშა პაპა მაინც ახმიანებდა თავის ლამაზად შეჭედულ გრძელსაგან თოფს, რომელსაც **მაჟარს** ეძახდა (შორ. 192, 7).

წინფეფე: სკვინჩები, ბოლოცეცხლები და წივწივები ჩვენ რომ წინფეფებს ვეძახით (ალერს. 32, 21).

კიდობანა: **კიდობანას** თითოეული მარცვალი მართლაც მოჭედულ პაწაწინა კიდობანას ჰგავს (ასულ. 84, 6).

ფშანი: ფშა, **ანუ ფშანი**, როგორც ზოგ ადგილას უწოდებენ (შველ. 50, 2).

ზომაზე: კუკრუჭანები (ჩურჩხელები)... გახმებოდა კარგად, როგორც იტყოდნენ „**ზომაზე**“ (შორ. 197, 6).

ცხონება: მამა გიცხონდა... თან უკვე ვიცოდით, რო „**ცხონება**“, „ცხოვრებასაც“ ნიშნავდა (ტ. I, 25, 27).

დამხასიათებელი, დამხასიათებლობა: აი, ფინთო, ფინთო, **დამხასიათებელი** – ეგ რაღას ნიშნავს დედი, **დამხასიათებლობა?** – ვკითხულობ მე. – რასა და, სულ რომ სხვებს ახასიათებს და ყველაფერს ამრუდებს, აუკულმართებს (ალერს. 248, 13).

საყელავი: **საყელავი** რაღა? ეგ უნდა იცოდეთ, – წვრილი, რბილი წნელი, რომლითაც ვაზს აკავებენ (ალერს. 107, 5).

წყლის შიში: ცოფს წყლის შიშსაც ემახიან, თუ ცხოველი წყალს სვამს და საჭმელსაც აუღელვებლად მიირთმევს არავითარი ცოფი არ არის საეჭვო (შორ. 108, ქვ. 3).

ხიზვა: **ხიზვა** რა არის, შენ არ გეცოდინება. თხის ქონში მოადუღებენ საცერში გაცრილ სუფთა ნაცარს, მოადუღებენ კარგად, და ისევე, ცხელ-ცხელს, მონძდახვეული ჯოხით წაუსვამენ ქვევრის საეჭვო ბზარებს და ნაკენჭრებს. ამას მიხვდები, რატომაც, ღვინო რომ არ გაუვიდეს (გოლ. 280, 25).

მწერალი მიმართავს სინონიმურ პარალელებს, რომელთა განმარტებისას იყენებს ა) მაიგივებელ **ანუ** და ბ) **ესე იგი** კავშირებს:

ა) **საცივი:** ჩემია, დაბლა დავტოვეთ, წყაროსთან ანუ **საცივთან** (შველ. 60, 15).

კეტაობა: მახსოვს ჯანყი ანუ „**კეტაობა**“ ჩვენს სოფელში (ტ. I, 29, ქვ. 14).

ტოფობა: თევზები... თხელ უბეებში ყრიან ქვირითს, ანუ **ტოფობენ**, – თევზებიც, ბაყაყებიც (შველ. 52, 8).

კიდობანა: კიდევ – შინდანწლები და გასაოცარი კუნწულებით დატვირთული ჭანჭყატები ანუ **კიდობანები** (ასულ. 84, ქვ. 7).

ნახუნაგი: დაბრეცილი ანუ **ნახუნაგი** კიტრი (ალერს. 163, ქვ. 1).

რაგი: თუ ჩაჰკვირვებიხართ, რას ნიშნავს კახური – „რაგი“, ანუ „რა ვიცი“ (ასულ. 261, 4).

ბ) **მოაგერისებინებს:** ოთხივე ძუძუზე რომ **მოაგერისებინებს**, ესე იგი ცოტ-ცოტას ჩამოაწოვებინებს, – აბა წაიყვანეო (კეთ. 197, ქვ. 2).

გვარი: ღორმა **გვარი** დამალა, ე. ი. სოლიტერი ან რაღაც ესეთი ჯანდაბა არ ჰქონდა (ალერს. 49, 7).

ბოიდადი: არ გავიგო, რომ ჩემს **ბოიდად** გიგოს (ესე იგი, ჩემს დიდ, წარმოსადეგ გიგოსო,) ვინმემ უიღბლო დაუმახოს (ალერს. 104, ქვ. 3).

მწერალი სიტყვის ახსნისას მიმართავს მოდალურ **აი, კი, თურმე** ნაწილაკებსაც.

ბოა: ქათიბი ქათიბია შვილო. აი, **ბოა**, ქალები რომ იკეთებენ ხოლმე პალტოს საყელოზე (შორ. 148, 14).

ბულბულა: ფრი-ფრი-ფრი! – გაძვრა, პაწაწინა ჩიტუნია **ბულ-ბულა**, ჰო, ჰო, ბულბული კი არა, **ბულბულა**, გადაფრინდა სხვა ბუჩქზე და იქიდან ყელყელობს (კეთ. 330, 6).

მწერალი მიმართავს პუნქტუაციას, ერთ-ერთ სინონიმს ათავსებს ა) ფრჩხილებში, ბ) ბრჭყალებში:

ა)

წიმფეფე: მოფრინდა წიმფეფეც (წივწივა) (ალერს. 34, 11).

თრია: მთიდან თრიები (ციყვის მსგავსი პატარა ცხოველები) ხტებოდნენ (შველ. 55, 4).

ღიჟა: გაბმული იყო, გახლართული, ღიჟა (ეკალა) და მაცვალი (შველ. 86, 10).

ზრო: კაკლის ზროს (მირს) ორი კაცი ვერ შემოუწვდნენ ხელებს (გოლ. 219, 5).

გვარლი: გამოხსნეს გვარლი (ტროსი) გაყულფეს (ალერს. 117, 9).

ალისტო: ზემოთ ნალეწიანში (დალეწილია ალისტოს – მყრა-ლა ხის – ამონაყარი) ბალახობს ზურგნაიარევი გამხდარი ცხენი (კეთ. 27, 10).

ბ)

აურია: ნიკალამ რაღაც მიკიბ-მოკიბა, რაღაც „აურია“ (მეგობ. 100, 5).

ცივადა: ჩვენში იცის ერთი ასეთი ჯანლი, „ცივადა“ წოდებული (ასულ. 144, 2).

ვაჟურად: სველი თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი, „ვაჟურად“ (ტ. I, 31, ქვ. 4).

დასაყრელად: – თუ კანფეტი მოჰქონდა, მოჰქონდა ბლომად, „დასაყრელად“ (გოლ. 46, 11).

ბოიდალი: თვითონ კიდევ ერთი „ბოიდალი“ (ტანადი) კაცი – კრაველის მაღალი ბოხოხით, ყურთ-მაჯგებიანი ჩოხით – შემოიდგამდა დოინჯს და იდგა (ტ. I, 17, 26).

რ. ინანიშვილი სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად ხანდახან რამდენსამე სინონიმსაც მიმართავს, ასეთ შემთხვევაში იგი ტირეს ანდა მძიმეს იყენებს:

სტვენია, დრუნჩა, მეთოფე ჩიტი: შუადღისათვის კი მოფრინდნენ ჩვენი ეზო-ბაღებისთვის უცხო ღაბუა ჩიტები – **სტვენები**, რომლებსაც ჩვენთან ზოგი **დრუნჩებს** ეძახის, ზოგიც **მეთოფე ჩიტებს** (კეთ. 229, 13).

მზომელა, წყლის ადლაბიჯა: ჰაერში იჭერს კოლოებს და წყლის ადლაბიჯებს – მზომელებს (შველ. 51, 12).

ბერკუტი, შავი ქორი: ზოგი ადარებდა მტაცებელ ფრინველსაც – ბერკუტს, შავ ქორს (გოლ. 235, 16).

რ. ინანიშვილს განმარტებული აქვს ასევე ზოგი მყარი გამოთქმა და იდიომი:

თონეზე სხდომა: ამას წინათ ბიჭები თონეზე ვისხედით. შენ არ იცი, რას ნიშნავს ეს „თონეზე სხდომა“. ხომ გაახურებენ, არა, თონეს, მერე პურს ჩააკრავენ და ამოხდიან, მერე განელდება, კარგად რომ განელდება, ბიჭები ზედ ორ სქელ ფიცარს გავდებთ, ზოგნი ერთ ფიცარზე დავსხდებით, ზოგნი მეორეზე, ერთმანეთის პირისპირ, ჩავკიდებთ ფეხებს, მივაყუდროვებთ, მივიჭუჭკებით ერთმანეთთან და ვართ ასე (ჯაფ. 248, 2).

ქალაქური სეირი: ქალაქური სეირი – კაცის ჩამოხრჩობა მახათის გორაზე (გოლ. 166, 23).

ქალაქის დანახვება: იცოდა ყელის ამოწევის მეორე ხერხიც. მას „ქალაქის დანახვება“ ერქვა (შორ. 217, 8).

ჯადოსნური ბალახები: ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ჯადოსნურმა ბალახებმა**, როგორც წინათ ეძახდნენ ყვავილებს, უკვე იმოქმედეს (შორ. 173, 17).

ცხვირს იტებდნენ: ბაია რომ დაიყვავილებს, ესე იგი, ყვითელი გვირგვინები ჩამოეშლება, მუხუდოზე ცოტა მსხვილი ეკლიანი კაკლებიდა რჩება. ძველად ამ კაკლებით „ცხვირს იტებდნენ“. რას ჰქვია, ცხვირს იტებდნენ?! აი, რას: თუ ვინმეს სისხლი წამოაწვებოდა სახეზე. დღევანდელი სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ვინმეს წნევა აუწევდა, მოსწყვეტდა ბაიას ეკლიან კაკალს მოგრძო ყუნწიანად, შეიყოფდა ნესტოში, დაირტყამდა ზემოდან ხელს, წამოიგდებინებდა სისხლს და წნევა მოემშებოდა. ამიტომ ბაია ყვავილს ცხვირისატეხელასაც უწოდებენ (ასულ. 30, 8).

ხავსი მოსდებია: ხავსი მოსდებია – დაბერებულა (ჯაფ. 64, 24).

ხელებიდან ცეცხლი გასდის: ძალიან კარგადაც მუშაობდა, რომ იტყვიან, **ხელებიდან ცეცხლი გასდიოდა** (მეგობ. 54, 11.)

როგორც ვხედავთ, სიტყვის განმარტებისას მწერალი გრამატიკული თუ ორთოგრაფიული ხერხების გამოყენებით არ არღვევს თავისი მოთხრობების მხატვრულ ქარგას. ამასთან ერთად გვევლინება იმ კვალიფიციურ ლექსიკოგრაფად, რომელიც გრძნობს და

ჩვენც გვაზიარებს იმ დიდ საიდუმლოებას, რომელსაც სიტყვა ეწოდება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რიგ შემთხვევაში მწერალი თავის ეტიმოლოგიურ დაკვირვებებსაც გვთავაზობს.

ჭუჭნაის ბოჩოლას ვეძახდით. ეს იმიტომ, რომ ჭუჭყიანს ჰგავდა (შორ. 14, 6).

ჩვენი სოფლის ადგილას უწინ **ჭყანტე** – ჭაობი იყო და ამის გამო დაერქვა ასე (შორ. 263, ქვ. 9).

ხოვლე დიდი სოფელიაო. ხევი ჩამოუდისო, ხეხმელი ჰქვიაო, უფრო ხევხმელი უნდა იყოს, მაგრამ იმთავითვე ეგრე ვეძახით და ეხლა რაღას ვუშველითო (ცისფ. 179, 12).

ფურდედო: ფურდედო თურმე დედისნაირ ფურს ნიშნავს (კეთ. 199, 1).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგი ამ სიტყვათაგანი რ. ინანიშვილის მიერ მოხმობილი ილუსტრაციით შესულია ქეგლ-შიც. მაგ. ალისტო [ailanthus altissima] (კუთხ.) (კახ.) ხემყრალი. დალეწილია ალისტოს – მყრალა ხის – ამონაყარი (რ. ინან.) [ქეგლ. ახ. რედ].

ლიტერატურა

კოშორიძე 1981 – ე. კოშორიძე, რ. ინანიშვილის ენის ზოგი თავისებურება, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები თბილისი

ქეგლ. ახ. რედ. 2007 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, I (რედ. ავთ. არაბული), თბილისი.

ჭუმბურიძე 1982 – ზ. ჭუმბურიძე, „რევაზ ინანიშვილი, სიკეთით სავსე ქვეყანა“, წიგნში – მადლი დედაენისა, თბილისი.

წყარო

ალერს. – ალერსი შიშიანოზის დროს, თბ., 1986.

ასულ. – მთვარის ასული, თბ., 1987.

გოლ. – პატარა ბიჭი გოლგოთაზე, თბ., 1989.

კეთ. – კეთილი მიწა, თბ., 1984.

- მეგობ.** – მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, თბ., 1958.
ტ. I. – თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, თბ., ტ. I, 1953-1968 წწ.
შველ. – შველი ზამთარში, თბ., 1986.
შორ. – შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976.
ცისფ. – ცისფერი გორგალი, თბ., 1968.
ჯაფ. – ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, თბ., 1974.

Nineli Chokhonelidze

The Lexicographic Definitions in R. Inanishvili's Prose

S u m m a r y

R. Inanishvili gave new inspiration to many new neologisms and Kakhetian dialecticisms, words and expressions entered from Old Georgian, characteristic for New Georgian and allocated their places in the language.

Often times the writer explains the similar words in his great lyrical prose himself.

In order to understand the meaning of a word clearly, the writer uses 1. artistically expressed broad definition. In this case, he uses expanded as well as subordinate clauses with interjectional words, in addition, a place of the word under expression isn't determined in a sentence; 2. The writer uses synonymous parallels, for interpreting of which he uses a) either reciprocal **anu** „in other word/or“ and b) **ese igi** „this means/ie/this is“ conjunctions; 3. Some times he uses punctuation. He places unknown synonym in a) parentheses, b) inverted commas, or distinguishes them with a dash.